

დიაბლის
სახლითომას
მწინე ბავშვი



კავშირი
„ჩვენი ბავშვები“

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
თქვენს პატარას ბევრი სიყვარული სჭირდება	4
განცდები და რეაქციები	6
შემიძლია ჩემს პატარას ძუძუ მოვაწოვო?	8
ინფორმაციის მიწოდება	10
და-ძმები	12
რა არის დაუნის სინდრომი?	14
რაზე ახდენს გავლენას ტრისომია 21?	18
როგორ განვითარდება თქვენი პატარა?	20
ვის შეუძლია თქვენს ბავშვს დაეხმაროს?	22
დახმარება სხვა მშობლებისაგან	23
ცხოვრება ჩვეულებრივი ცხოვრებით	24
პოზიტიური მომავალი	26

წინასიტყვაობა

როდესაც გავიგე, რომ ჩემს შვილს დაუნის სინდრო-
მი პქონდა, ვფიქრობდი, რომ ჩემი ცხოვრება სამუდამოდ
შეიცვალა, ვფიქრობდი, რომ ვეღარასოდეს შევძლებდი
გულიანად გაცინებას, მხიარულებას, ვეღარ შევძლებდი
მუშაობას, ვეღარ ვიმეგობრებდი სხვებთან, ვფიქრობდი,
რომ აღარც ჩემი შვილების დაბადების დღეები გამახ-
არებდა, აღარც ახალი წელი და აღარც ქუჩაში გავლა.
ვფიქრობდი, რომ, რა ბედნიერი წუთებიც არ უნდა დამ-
დგარიყო ჩემს ცხოვრებაში, ზურგის ტვინით მაინც სულ
მემახსოვრებოდა, რომ ჩემს შვილს დაუნის სინდრომი
აქვს და ეს სრულ ბედნიერებას ჩამიშხამებდა.

მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა. ჩემი შვილების
დაბადების დღეებიც და ახალი წელიც ისეთივე სიხარუ-
ლით აღვნიშნე, როგორც ადრე. ქუჩაშიც ბევრს დავდი-
ვარ და სამსახურშიც სიხარულით მივდივარ ხოლმე.
როცა სამსახურიდან ვბრუნდები, თავის ძმებთან ერთად,
პატარა ირაკლიც მეგებება. მართალია, სიარული ჯერ
არ იცის, მაგრამ, სამაგიეროდ სიხარულისა და სითბოს
გამოხატვა ისე შეუძლია, როგორც არავის. ბედნიერი
ვარ, რომ სამი არაჩეულებრივი შვილი მყავს. ის, რომ
ირაკლის დაუნის სინდრომი აქვს ჩვენს ოჯახს ნორმალ-
ურ ცხოვრებაში ხელს არ უშლის. პირიქით, ახლა უფრო
მყარად ვდგავართ ერთმანეთის გვერდით და ერთმანე-
თის მეტი იმედი გვაქვს.

ნინო ცინცაძე

დაუნის სინდრომის მქონე პავშვების მშობლებისა
და პროფესიონალების კავშირი „ჩვენი პავშვები“

თქვენს პატარას ბევრი სიყვარული სჭირდება

პირველ რიგში ეს ბავშვი თქვენი შვილია, ის დიდი ხნის ნანატრი ძამიკო ან დაიკოა თქვენი სხვა ბავშვებისათვის ან ახალი შვილიშვილი ბებიებისა და ბაბუებისათვის. იგი შეეზრდება თქვენს ოჯახს და მონაწილობას მიიღებს მის ცხოვრებაში. მას უფლება აქვს ადგილი ჰქონდეს თქვენს ოჯახში!

აიყვანეთ ხელში, მოეფერეთ, აგრძნობინეთ, რომ გიყვართ. ელაპარაკეთ, უმღერეთ სიმღერა. ცოტა რომ ნამოიზრდება, შეაგულიანეთ რომ ხელში რამე აიღოს, გაიხედოს იქითვენ საითაც გსურთ, ყური დაგიგდოთ და

მოგბაძოთ. სიყვარულით საგსე დამოკიდებულება არსებითი წინაპირობაა თქვენი ბავშვის პოზიტიური განვითარებისათვის.

თანდათან მიხვდებით, ის, რომ თქვენს შვილს დაუნის სინდრომი აქვს მეორეხარისხოვანია, პირველ რიგში, იგი ადამიანია ზუსტად ისე-თივე მოთხოვნებით, როგორიც ყველა სხვა პატარას აქვს. იგი თქვენ იმდენსავე სიხარულსა და ბედნიერებას მოგიტანთ, რამდენსაც ნებისმიერი სხვა პატარა.

თქვენმა პატარამ უნდა იგრძნოს, რომ თქვენ მას აღიარებთ, რომ გიხარიათ მისი სიახლოვე.





” მუსხედავად იმსა, რომ
პლაზეტ დღეებში თავს
საშინალოს ვგრძენიდღი,
საყმანის კუთხიდან ჩვილი
გულში ჩამდებრი, მას ჰავარი
სხვალის სითბო მევრიდნი,
რომ ვხვდებოდი, ეს ასევე
ვერსოდეს გახდებოდა
ჩემი უბრუნების მაჩვი
და ცხოვრებაში ძევი
სუკარულს მომისახდა ”

(დაუნის სინდრომის
მქონე ბავშვის დედა)



განცდები და რეაქციები

როდესაც მშობლებს შეატყობინებენ, რომ მათ პატარას დაუნის სინდრომი აქვს, უმეტესობას სასოწარკვეთისა და დაბნეულობის შეგრძნება ეუფლება. ამ ამბის ვერ დაჯერების, მწუხარების, პარალიზებისა და სიბრაზის შეგრძნებები ცვლიან ერთმანეთს. ასეთი ბავშვის ყოლა არავის სურდა, მაგრამ ამავე დროს, პასუხისმგებლობის გრძნობაც ჩნდება ამ პატარა უმწეო არსების წინაშე.

ხანდახან მშობლები თავს არნენებენ, რომ აქ რაღაც შეცდომაა. მათ არ სურთ აღიარონ ის, რაც ექიმებმა უთხრეს. მიუხედავად იმისა, რომ დაუნის სინდრომის თითქმის ყველა მახასიათებელი სახეზეა, მათ სჯერათ, რომ ქრომოსომების ანალიზი სხვა პასუხს აჩვენებს.

ბავშვის დაბადების პირველ დღეებს მრავალი კითხვა და გაურკვევლობა ახლავს თან. როგორ უნდა ვიცხოვროთ ახლა? შევძლებთ კი ოდესმე ნორმალური ოჯახური ცხოვრებით ცხოვრებას? როგორ აღიქვემდენ ამას და-ძმები? ვინ დაგვეხმარება? ეს გაურკვეველი და მღელვარე პერიოდი კარგა ხანს გრძელდება, სანამ ადამიანი მოვლენების უფრო ნათლად აღქმას შესძლებს. ზოგი მშობელი წონას-წორობას შედარებით სწრაფად აღიდგენს, სხვებს დიაგნოზის „გადასამუშავებლად“ მეტი დრო სჭირდება.

ზოგი „დანაშაულის მიზეზს“

ეძებს. რატომ გაგვიჩნდა მაინცდა-მაინც ჩვენ ასეთი ბავშვი? მშობლები საკუთარ თავს ეკითხებიან, რამ განაპირობა დაუნის სინდრომი?

დაუნის სინდრომი გენეტიკური თავისებურებაა, რომელიც თავს შემთხვევით იჩენს. მას ადამიანი ვერც ხელს შეუშლის და ვერც გააკონტროლებს. დაუნის სინდრომი დანაშაული არა არის და არავინაა ამაში დამნაშავე.

ზოგი მშობელი თავიდანვე იწყებს ლიტერატურის ძიებას, მათ სურთ რაც შეიძლება ბევრი გაივონ ამის შესახებ, ზოგს კი თავდაპირველად არავითარი დამატებითი ინფორმაციის ქონა არ სურს.

ზოგი მაშინვე ეძებს კონტაქტს ოჯახებთან, რომლებთაც ასევე ჰყავთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, მათ სურთ სხვა ბავშვები გაიცნონ, სურთ იცოდნენ, როგორ გამოიყურებიან, როგორ ვითარდებიან და ცხოვრობენ ისინი. სხვა მშობლები პირიქით, უარს ამბობენ ასეთ ოჯახებთან კონტაქტზე, მათ ეშინიათ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ნახვა. ზოგი განმარტოვდება, არავის ნახვა არ უნდა და სურს მშვიდად იყოს თავის პატარასთან ერთად.

ყველა ეს შეგრძნება და რეაქცია გასაგები და ნორმალურია, ისინი არ უნდა დავთორგუნოთ. ყველა ადამიანი ამ მოულოდნელ ამბავს თავისებურად და თავის ტემპში „სარშავს“.



„ახა მხრას ჩეც უკუნის, მყვარებული, ძლიერი ნების უფისი, გულისი ბავშვის. ჩვენი ცხოვრება ჩვენს მოწვევების თავისებთან ერთს ბიჭებრ ძლიან დამღერებს, მაგრამ მშვენიერი და მს გარეშე ერთი წევის ვერ წარმოგვადებს“

“

„... შემდეგ ეს ერთი ცილი ჰავასია, რიმდელმას თავისას ასე დავვაძლენების, ჩვენი ცხოვრების მთავრობის აზრი გახდა, რიმდობს გარეშე ცხოვრებას და ეს ჩვენივალი წარმოუდგენელს.“

“



შემიძლია ჩემს პატარას ძუძუ მოვაწოვო?

შეეცადეთ თქვენ პატარას ძუძუ მოაწოვოთ, თუნდაც ეს თავდაპირველად ძნელი იყოს. ეს კავშირი დედასა და ბავშვს შორის გულწრფელ ურთიერთობას წარმოქმნის. გარდა ამისა, დედის რძე საუკეთესო დაცვაა ინფექციებისაგან.

დაუნის სინდრომის მქონე პატარებისათვის ძუძუს წოვა იმიტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ მათ ხშირად ჰიპოტონია (კუნთების მოდუნება) აქვთ, წოვით კი ენისა და პირ-სახის კუნთები სტიმულირდება.

თუ თქვენი პატარა კლინიკში გადაიყვანეს და რძის გამოყოფას სტიმული არ ეძლევა, ან თუ ბავშვი მეტისმეტად სუსტია იმისათვის, რომ ძუძუ მოწოვოს, რძე გამოიწველეთ და ისე მიეცით.

თუ თავდაპირველად სირთულე-

ები გაქვთ, სპეციალისტები დაგეხმარებიან იმაში, რომ პატარას ძუძუს მოსაწოვად ბიძგი მისცეთ. მეტისმეტად სწრაფად ნუ დანებდებით. ბევრმა დედამ მოახერხა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისათვის ძუძუ მოეწოვებინა და ამით ძალიან ბედნიერები არიან.

თუ რძე მაინც არ მოდის, ანდა რაიმე სვა მიზეზის გამო არ შეგიძლიათ, ან არ გსურთ ბავშვს ძუძუ მოაწოვოთ, ამის გამო სინდისი ნუ შეგანუხებთ, თქვენი პატარა ისევე კარგად განვითარდება, თუ სიყვარულით მოეპყრობით, წოვისათვის კი სხვა საშუალებას მიიღებს. არსებობს შესაფერის საწოვარები და ბოთლის თავები, რომელსაც ძუძუს კერტების ფორმა აქვს და წოვისას ტუჩებისა და ენის გაძლიერებულ აქტივობას მოითხოვს.



”ძებუს წოვება შოუასან
გმოსვლაში ძლიან
დამებძნა. ეს ამ
საცუსავაში ნორმლურობას
ერთი ნატურალური კუნ.
უფერო კავშირი, რომ
ძებუს ვანივებით და
სოფესიონალის ხელი
ხელში მეტანა, სამყარო
ლაგდებით და ვაჭრო:
ჩვენ ერთად ხერის
ვეუყოვნოთ და ერთად
უკარისი შევდოები“



ინფორმაციის მიწოდება



მოუხედავად იმისა, რომ გიძნელდებათ ნათესავებს, მეგობრებს და მეზობლებს თქვენი პატარას შესახებ ინფორმაცია მიაწოდოთ, ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააკეთოთ.

თავდაპირველად, ამ მოულოდნელი სიტუაციის გამო, თქვენი ახლობლებიც დაიბნევიან. ღიად, გულახდილად დაელაპარაკეთ მათ და ნამდვილად იპოვით ნუგეშს, გაგებასა და დახმარებას.

ილაპარაკეთ თქვენს პატარაზე და დაუნის სინდრომზე. დროთა

განმავლობაში ეს გაგიადვილდებათ და დიაგნოზის „გადამუშავებაში“ დაგეხმარებათ. თუ თქვენ შვილს სრულიად ჩვეულებრივად მოექცევით, მას სხვებიც ასე მოექცევიან.

თუ გაჩუმდებით, თქვენს ახლობლებსაც გაუჭირდებათ სწორი სიტყვების პოვნა. და თუმცა ეს ყოველთვის იოლი არ არის, სწორედ თქვენ უნდა იყოთ ის ადამიანი, ვინც ამ თემაზე ლაპარაკეს დაიწყებს, რადგან გარშემომყოფები ამას სწორედ თქვენგან ელიან.



და-ძმები

ალბათ, ძალიან გაწუხებთ, თუ როგორც მიიღებენ ამ ამბავს თქვენი დანარჩენი ბავშვები. როგორ შეიძლება მათ უთხრათ, რომ მათი პატარა დაიკო ან ძამიკო „სხვანაირია“. თუ უმჯობესია ჯერ გავჩიმდეთ?

თქვენი სხვა შეილები ხომ მაინც იგრძნობენ თქვენს დარდს და ამის მიზეზს რომ ვერ გაიგებენ უფრო დაიძაბებიან. ისინი ხომ თვეების მანძილზე მოუთმენლად ელოდნენ პატარს. ამიტომ გირჩევთ მათ მალე აუხსნათ, რომ პატარა ცოტა სხვანაირია, ვიდრე სხვა ბავშვების უმეტესობა, რომ იგი ისე სწრაფად ვერ ისწავლის, როგორც ისინი და რომ მას უფრო მეტი დახმარება დასჭირდება.

ნახავთ, რომ ბავშვებს არ გაუჭირდებათ ოჯახის ახალი წევრის აღიარება. ისინი პატარას თავიდანვე სრულიად ბუნებრივად და სიყვარულით მიიღებენ.

თანდათან შეგიძლიათ მათ უფრო მეტი მოუყვეთ დაუნის სინდრომის შესახებ. როდესაც და-ძმები წამოიზრდებიან, ინფორმაცია, რომელთაც მათ მიაწოდებთ, უფრო ზუსტი უნდა იყოს. მათ აქვთ უფლება ყველაფერში ერკვეოდნენ და უმჯობესია, თუ ისინი თქვენგან, მშობლებისაგან მიიღებენ სწორ და აქტუალურ ინფორმაციას, ნაცვლად მესამე პირებისა, რომლებმაც შესაძლოა მხოლოდ არასრული და მცდარი ცოდნა გადასცერ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ძალიან ბევრს სწავლობენ მიბაძვით. წლების მანძილზე და-ძმები მათი მაგალითი და მასწავლებლები იქნებიან. ბევრი ბავშვი ამ როლს სიხარულითა და ღირსებით, ხუმრობითა და მოთმინებით ასრულებს და ხანდახან რეალობასთან უფრო ახლო დგას, ვიდრე მშობელი.





„ხანდახსნ ალბინი
მაძრაბეგის, თამაშებს
ხელს გვაშლის ხოლმე.
ბუბურ კელა ვითმენ,
რომ ვუყურებ რა ხელი
ავასმს ფეხსაცმელს. ასე
კი მას მასწავლისა
ვენტილი და მამაჩნია,
რომ ძლიან ყრიგია
განსაკუთრებული და
რომ მყვანი. მასთან ასევე
ყრიგია შელძლება თამაში
ჩეუბი და სიცილი, როგორც
ნებისერ ჰაქარა დასთავა“



(ნიგნიდან “ალბინ-იონათანი –
ჩვენი დაუნის სინდრომის მქონე
ძმა”, რომელშიც 8 წლის ელენი
თავისი 5 წლის ძმის, ალბინ-
იონათანისა და დანარჩენი ორი
ძმის ცხოვრების შესახებ ყვება)



რა არის დაუნის სინდრომი?

უჯრედები და ქრომოსომები

სინდრომს უწოდებენ ერთობლივად გამოვლენილი ნიშნების კომპინაციას, რომლებსაც საერთო მიზეზი აქვთ. სინდრომს ხშირად იმ ადამიანის სახელს არქმევენ, ვინც იგი პირველად აღნირა. ჩვენს შემთხვევაში, ეს იყო ექიმი ლანდონ დაუნი. 1866 წელს მან პირველად აღნირა ეს მახასიათებლები.


დაუნის სინდრომს ბიოლოგიური, გენეტიკური მიზეზი აქვს. ამ სინდრომის მქონე ადამიანებს ზედმეტი ქრომოსომა აქვთ. ქრომოსომა უჯრედის ბირთვის ნაწილია, რომელიც ორგანიზმის მემკვიდრული ინფორმაციის (გენის) შემცველ ძირითად სტრუქტურას წარმოადგენს. ქრომოსომები შეიცავენ ინფორმაციებს, რომლებიც გარებნობასა და განვითარებას განსაზღვრავს. ისინი ქმნიან ადამიანის მემკვიდრეობითობას. ჩვეულებრივ ადამიანს სხეულის ყოველ უჯრედში 46 (23 წყვილი) ქრომოსომა აქვს.

სპერმის უჯრედის შერწყმით კვერცხუჯრედთან ახალი სიცოცხლე წარმოიშობა. ჩანასახის უჯრედები გარკვეულ მომენტში თითოეული მხრიდან ქრომოსომების ნაკრების ნახევარს იღებენ ე.ო. 23-23 ქრომოსომას. პირველად უჯრედს, რომელიც განაყოფიერების დროს ორივე ჩანასახი უჯრედის შერწყმით

ნამოიშობა, შესაბამისად 46 ქრომოსომა აქვს. შემდეგი გაყოფით უჯრედები მრავლდება და ყოველ ახალ უჯრედში ისევ 46 ქრომოსომაა.

როგორ ჩნდება ქრომოსომების სხვა რაოდენობა?


შესაძლოა კვერცხუჯრედში, ანდა უფრო იშვიათად, თესლის (სპერმის) უჯრედში ერთი ეგზემ-



პლარის ნაცვლად ორი 21-ე ქრომოსომა აღმოჩნდეს, რაც იმის შედეგი შეიძლება იყოს, რომ ერთ-ერთ ჩანასოხოვან უჯრედში გაყოფისას

ქრომოსომის ერთი ნუკლი (21-ე) არ დაშორდა ერთმანეთს.

მშობლების ქრომოსომების ნუკლების „ერთმანეთისაგან არ დაშორების“ მიზეზი უცნობია. თუ ერთ-ერთი მხრიდან დაუშორებელი, ანუ ორი 21-ე ქრომოსომი-ანი უჯრედი შეერწყა პარტნიორის ჩანასახოვან უჯრედთან, მას კიდევ ერთი – პარტნიორის 21-ე ქრომოსომაც ემატება, და მაშინ ბავშვის მექანიზმიდრეობითი მასალა თავიდანვე




სამ 21-ე ქრომოსომას შეიცავს. შესაბამისად მას თითოეულ უჯრედში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა უვითარდება.

თავისუფალი ტრისომია

თუ, როგორც ზემოთ აღვნერეთ, სახეზეა სამაგი 21-ე ქრომოსომა ყოველ უჯრედში, მას თავისუფალ ტრისომიას, ანდა ტრისომია 21-ს უნდებენ. ეს ფორმა ყველაზე ხშირია და დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა 95% აქვს.

ტრანსლოკაცია




დაუნის სინდრომის მქონე პირთა 3-4% მიზეზი ტრანსლოკაციაა. ამ ბავშვებში ქრომოსომათა რეგულარული რიცხვი 46-ია, მაგრამ, გარდა ამისა, მათ აქვთ 21-ე ქრომოსომის დამატებითი მასალა, რომელიც სხვა ქრომოსომასთანაა კავშირში. შესაძლოა რომელიმე მშობელი ტრანსლოკაციის მატარებელი ისე იყოს, რომ ეს სიმპტომები მასში არ ჩანდეს.

მოზაიკა

ძალიან იშვიათ შემთხვევებში, (1-2%) მიზეზი ე.წ. მოზაიკური ფორმაა. აქ უჯრედების მხოლოდ ერთი ნაწილი შეიცავს ზედმეტ 21-ე ქრომოსომას. ანუ მათ ზოგ უჯრედში 46 ქრომოსომა აქვთ, ზოგში კი 47, შესაბამისად ისინი გამოავლენენ იმ განსაკუთრებული ნიშან-თვისებების ერთ ნაწილს, რომლებიც დაუნის სინდრომის დროს ვლინდება.

კარიოგრამა

მიუხედავად ექიმების ვარაუდისა, რომ ახალდაბადებულ ბავშვს დაუნის სინდრომი აქვს, რაც უმეტესად სწორია, ტარდება სისხლის გამოკვლევა იმისათვის, რომ დიაგნოზი დადასტურდეს. აღებული სისხლიდან გამოყოფენ უჯრედებს და ზრდიან. რამდენიმე დღის შემდეგ შესაძლებელია ქრომოსომების სურათზე, კარიოგრამაზე ვიმსჯელოთ.





რაზე ახდენს გავლენას ტრისომია 21?

„ჩვენ მთანცდამთანც არ
გვასახერებელს ჩასწოდ
არ გასუყოფები
სწორია. უყას აცის
ვასედებით. ასევემძებ
ადამიანები, რომელიც
ექიმიათ ექიმიათ
დაღას და კიასულიანებ,
რავიდ დაეძირიათ ეს
მთანცდამთანც მათ? ჩვენ
უკავშირის არ არის შვალი
უკვე აյ არის თავასი 47
ქრისტიანითი. ამას შეცვლა
სლავის შეყდლია. ჩვენ
მას ყანიგად განვითარების
შესს მავცემთ,
გავაკეთიერი უკეციფერი,
რაც შეგვიძლია და
უკეციფერი გამოგვიავა“

(დაუნის სინდრომის
მქონე ბავშვის მამა)

ყველა ბავშვი, მათ შორის დაუ-
ნის სინდრომის მქონეც, განუმეო-
რებელი არსებაა თავისი ინდივიდ-
უალური გარეგნობით, ტემპერა-
მენტითა და გონებრივი უნარებით.

მალე თქვენს შვილში ნათესაურ მს-
გავსებებსაც აღმოაჩენთ.

ერთადერთი, რაც დაუნის სინ-
დრომის მქონე ადამიანებს საერ-
თო აქვთ, ეს სინდრომია და მას სხ-
ვადასხვაგვარი გამოვლენა შეიძლება
ჰქონდეს.

21-ე ქრომოსომა განსაზღვრავს
ბავშვის გარეგნობას და განვითარე-
ბას. ამან შესაძლოა გავლენა ჯანმრ-
თელობაზეც იქონიოს. 21-ე ტრი-
სომიის ნიშნები ყველა ბავშვი ერთ-
ნაირად არ არის გამოხატული. გან-
საკუთრებული ფიზიკური ნიშნების
ქონა, ან არ ქონა, ბავშვის განვითა-
რებისათვის არსებითი არაა.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშ-
ვებში შემდეგი თავისებურებებიდან
ზოგიერთი შედარებით უფრო ხშირ-
ად გვხვდება.

პატარების დაახლოებით 40-50%
აქვს თანდაყოლილი გულის მანკი,
რომელიც, როგორც წესი, სიცოცხ-
ლის პირველ კვირეებშივე შეიძლება
დადგინდეს. ხშირად ქირურგიუ-
ლი კორექციაა საჭირო. დღევან-
დელ დღეს, მეტად განვითარებუ-

ლი ოპერაციული მეთოდებით ისეთი მანკების კორექციაა შესაძლებელი, რისი შველაც რამდენიმე წლის წინ არ შეიძლებოდა.

თქვენი ბავშვის წონა შესაძლოა უფრო მცირე იყოს, ვიდრე სხვა ახალშობილებისა, მისი ხელ-ფეხიც შესაძლოა უფრო მოკლე იყოს. სახეც ცოტა უფრო ბრტყელი შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ სხეულის ბევრი ფიზიკური თავისებურება მხოლოდ გარეგნულია და ფუნქციურ უნარებს ზიანს არ აყენებს.

თქვენს პატარას, ალბათ, კუნთოვანი პიპოტონია აქვს და უფრო ინერტულია, მაგრამ მისი ტონუსის ამაღლება სამკურნალო ფიზიოთერაპით შეიძლება.

საერთო ჯამში თქვენი პატარა სიცოცხლის პირველ თვეებში ისევე მოიქცევა, როგორც იმავე ასაკის სხვა პატარები. მშობლების უმეტესობას მიაჩნია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები განსაკუთრებით მშვიდები და უპრეტენზიონები არიან.



როგორ განვითარდება თქვენი პატარა?

არც ერთი ბავშვის შემთხვევაში წინასწარ არ შეიძლება თქვა, თუ როგორ განვითარდება იგი. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების განვითარება, ზოგადად, უფრო ნელა მიმდინარეობს. ბავშვი შედარებით გვიან ისწავლის ჯდომასა თუ სიარულს. მეტყველების განვითარებაც, როგორც წესი, შეფერხებულია. ის ბევრ მიზანს უფრო გვიან მიაღწევს, მაგრამ მაინც მიაღწევს.

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების კლინიკური სურათი ბოლო 15 წლინადში ძირფესვიანად შეიცვალა. მათი გონებრივი უნარი წარსულში და ზოგჯერ დღესაც სრულყოფილად ვერ ფასდება. დღეს ჩვენ ვიცით, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები გასაოცრად სწავლისუნარიანები არიან. არავის შეუძლია ზუსტად თქვას როგორია ფაქტობრივად მათი განვითარების პოტენციალი.

ბავშვის განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მიზანმიმართული ხელშეწყობით შეგიძლიათ თქვენს ბავშვს განვითარებაში დაეხმაროთ. პოზიტიურის მოლოდინიც მნიშვნელოვანია. თქვენი ბავშვი მუდმივად წინ წავა. ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები, ისევე როგორც ყველა სხვა ბავშვებში.

დაუნის სინდრომის მქონე ბევრმა ბავშვმა იცის წერა და კითხვა, მათ უყვართ სკოლა და მუსიკა, მოგზაურობა და დღესასწაულების აღნიშვნა. მათ შეუძლიათ ცურვა, კეგლის თამაში, ცეკვა, ნიჩბოსნობა, ცხენზე ჯდომა და სხვა.

ჩვენ დღეს არ შეიძლება ვიცოდეთ, რას მიაღწევს თქვენი პატარა მომავალში, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ თუ ბავშვს განვითარების საშუალებას მისცემთ, იგი მას აუცილებლად გამოიყენებს, განვითარდება და დამოუკიდებელ, შეგნებულ პიროვნებად ჩამოყალიბდება.

ერთ-ერთი წევნში, რომელიც კლინიკაში მომვეს წსაცავსაც ეწერს, რომ დაუნის სისტრომის მქონე პაციენტი ძეგუს წვეს კერ შეძლებენ, მაგრამ ამას როცა კუთხით კაცანს ძეგუს ვაწვევდეთ.. მე ყველაფერს ვპირ და თავაც მავსვადები რა შეუძლია მას და რა არა, უკვე ხელ ბევრი რამ ასწავლა

„ნავშვილიდ გავლინდა,
 მეორე დღეს ექიმებმა
 მიასწოდა, რომ უზიდა
 უკი ბავშვის სახლში
 ჩაგვიდარებისა. შემდევ
 უკი გამოიძეორი
 განეცნულსმავ. მან
 მიასწოდა, რომ ჩემს
 შვილს პერსეფიცია არ
 ექნებოდა და მშობლების
 გასხვავებისას ვერ
 მთხოვნებდა სხვა
 ადამიანებისაგან. ახლა
 ჩვენი შვილი ითიქმის
 მრავალსა, ჩვენ მას
 განვითარებავ ყარისად
 ვზრუნვით და ისევ
 მშენებლის ვთავრიდეთ.
 მას ისნავილებს ცოცხლი
 თუ ჩამორჩება. ამავე ხოდ
 ლაპარაკულზ ბეჭდეცია,
 რომ ჩვენს გვცნობს
 და დანარჩენებსაც.“



(დაუნის სინდრომის
მქონე ბავშვის მამა)

ვის შეუძლია თქვენს ბავშვს დაეხმაროს?

ჩვენ უკავ ჩავერჩიოთ
სტრუქტურული განვითარების
პრივატიზაცია და ძალაში
ემყოფილები ვართ,
რაღაც ვგრძნობთ,
რომ ამით ჩვენს შვილს
მიზანმიმართულია
განვითარებაში
ვებმარებით. გარდა ამას,
ეს ძალაში სასიამოვნო
პრივეტისა. მთელი იჯახს
ძალაში გვაიხსია,
როდესაც ვხედავთ,
როგორ სწავლითს რაც აც
ასალს ჩვენი პრესრის

(დაუნის სინდრომის
მქონე ბავშვის დედა)

მოძებნეთ ისეთი პედიატრი, ან რჯახის ექიმი რომელსაც ენდობით, რომელსაც თქვენთან და თქვენს ბავშვთან გულწრფელი დამოკიდებულება ექნება, დაუნის სინდრომის შესახებ ინფორმირებული იქნება, ანდა მზად იქნება ეს ინფორმაცია მიიღოს.

რადგანაც დაუნის სინდრომის მქონე ბევრი ბავშვი ჰიპოტონურია, მას თავიდანვე დასჭირდება ფიზიოთერაპია. მოდუნებული კუნთები რომ გავაძლიეროთ, კარგი იქნება თუ მას უკვე თავიდანვე მიზანმიმართულად ვავარჯიშებთ. სპეციალისტი დროდადრო ბავშვს თავადაც ავარჯიშებს და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენც გასწავლით, როგორ უნდა ივარჯიშოთ

ხოლმე სახლში ბავშვთან ერთად.

როგორც ნესი, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ადრეული განვითარების პროგრამებში რთავენ ხოლმე, ბევრს უკვე პირველი თვეებიდან. მოძებნეთ ასეთი პროგრამები. ასეთი სამსახურის სპეციალისტი ან თავად იყლის ხოლმე თქვენთან სახლში, ან თქვენ ატარებთ ხოლმე ბავშვს დროდარო ასეთ ცენტრებში. თერაპევტები, თქვენთან ერთად, მიზანმიმართულად აძლევენ სტიმულს ბავშვის მოტორულ, მეტყველებით და გონებრივ განვითარებას.

მეტყველებისა და ოკუპაციური თერაპევტები დაგეხმარებიან, თუ ბავშვს თავიდან წოვისას, შემდეგ კი ყლაპვისა და ღეჭვისას პრობლემები ექნება. ისინი ასევე შეგასწავლიან როგორ შეიძლება თქვენს ბავშვთან ერთად ასაკის შესაფერისი „პირის თამაშები“ ითამაშოთ, თუ მის ჰიპოტონიას პირის მიდამოებში ხელშეწყობა დასჭირდება.

არ არის სააჭირო ეს ყველაფერი დღესვე დაიწყოთ, დაბადების შემდეგ პირველ პერიოდში ჯერ კიდევ ბევრი კითხვა და გაურკვევლობა არსებობს. მიერჩიეთ ოჯახის ამ ახალ წევრს, დატებით თქვენს ახალ პატარასთან ერთად ყოფნით.

შემდეგ კი აუცილებლად მოძიეთ სხვადასხვა პროგრამები. თქვენ მალე ნახავთ, როგორ გაგასარებთ და სიამაყის გრძნობით აგავსებთ თქვენი შვილის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები.

დახმარება სხვა მშობლებისაგან

მაღლე შეიტყობთ, რომ გარშემო დაუნის სინდრომის მქონე ბევრი ბავშვი არსებობს. ალბათ, იპოვით ოჯახს, რომელშიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ცხოვრობს. როგორც წესი, მშობლები პატარა ჯგუფებს აყალიბებენ ხოლმე ურთიერთდახმარების მიზნით. ისინი ხვდებიან ერთმანეთს გამოცდილებისა და ინფორმაციის გასაცვლელად, ერთად ახდენენ ძალების მობილიზებას თავიანთი ბავშვებისათვის უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

დაამყარეთ კონტაქტი ასეთ ჯგუფთან. ისინი თქვენ სხვებზე უკეთ გაგიგებენ. აქ თქვენთვის საჭირო ბევრ ინფორმაციასაც მიიღებთ, აქვე დაგეხმარებიან ექიმების თერაპევტებისა და პროგრამების მოძიებაში.

„ უკილაბე მეცნიერება იმას დახსხვა დაგვეხმარს, რომ სხვა უკახები, რომელისც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ჰყავთ ჰყავთ სისულით ნორმული ცხოვრებით ცხოვრების მიზნით. ამას ჩვენ მხედობს შეგვმასწავლით ვნახეთ, რომ ეს მშინებები თავს ბერძნების გრძელების მიზნით ხდებიან ბავშვები უკავდით, რომელიც ასეთ რამების აუცილებლების, რის გაუცილებსას ვფუქრობთ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ვერაცენილება.. თავს უკავდით მარტინ ალან ვგრძელებთ“

(დაუნის სინდრომის
მქონე ბავშვის დედა)

ცხოვრება ჩვეულებრივი ცხოვრებით

„ჩვენი პირველი
გადაწყვეტილებებისა
ერთ-ერთი იყო ყველაფერი
გამოკვეთისას იმსათვას,
რომ ჩვენი შვილისთვის
„ნორძლები“ ცხოვრების
საშეაცლება მაგვება. ჩვენ
ივა არა მავშვის სხსრში
ჩაგვასძრების, ჩიგორებ
მაშან ექამება გვიჩიეს,
და არა სპეციალიზებულ
სულისში გვიყვარება.
ივა მუდამ აუ იყოს,
სადაც სხვა ძავშვები
აყვენებ. გვიჩიდა,
რომ დამოუყოფებელ
ადამიანთა აღმრღვევი
და საკუთარი ცხოვრება
ჰქონდა. დღეს ყველა
ეს მაბანი მარტივლა



(დაუნის სინდრომის
მქონე ზრდასრული კაცის
მშობლები გერმანიდან)

მოექცით თქვენს პატარას ზუს-
ტად ისე, როგორც სხვა შემთხვევაში
ჩვეულებრივ გააკეთებდით, ანდა
თქვენს სხვა ბავშვებთან იქცევით.
წადით მასთან ერთად სასეირნოდ და
სათამაშო მოედანზე, გაატარეთ მას-
თან ერთად შვებულება, წაიყვანეთ
საყიდლებზე, სტუმრად და ა.შ.

შესაძლოა ახლა ფიქრობთ,
რომ ამიერიდან თქვენს ცხოვრე-
ბაში ყველაფერი სხვანაირად წავა,
მაგრამ, მალე დარწმუნდებით, რომ
თანდათან ცხოვრება ნორმალურ
მდინარებას დაუბრუნდება. არ არ-
სებობს არაფერი, რაზეც თქვენ
უარი უნდა თქვათ, მხოლოდ იმის
გამო, რომ თქვენს შვილს დაუ-
ნის სინდრომი აქვს. ზუსტად ის-
ევე შესძლებთ ოჯახურ ან სამეგო-
ბრო პინიკებზე სიარულს, დროის
გატარებას და დასვენებას, როგორც
ამას ადრე აკეთებდით ხოლმე, იგი
ისევე მოგზაურებს თქვენთან ერ-
თად, როგორც ნებისმიერო სხვა
ბავშვი, ზოგჯერ კი ერთი კვირა ბე-
ბია-ბაბუასთან, ან სხვა ნათესავებთ-
ან დარჩება. თქვენი შვილი ივლის
ბაღში, სკოლაში და თავისუფალ
დროს ისევე გაატარებს, როგორც
სხვა ბავშვები ატარებენ.

თქვენს შვილს სხვა ბავშვეთან
ურთიერთობა სჭირდება, რათა მი-
საბაძი ნიმუში ჰყავდეს. ბავშვების
თამაში წააქეზებს მანაც იგივე
გააკეთოს. ბავშვები ერთმანეთს
არაჩვეულებრივ სტიმულს აძლევ-
ენ ხოლმე. ეს თქვენი პატარისათვის
ისევე მნიშვნელოვანია, როგორც
ნებისმიერი სხვა ბავშვისათვის.
დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები
განსაკუთრებით ბევრს სწავლობენ
მიბაძვით.

თავიდანვე მიეცით თქვენს პატარას საშუალება მონაწილეობა მიიღოს ოჯახურ ცხოვრებაში. ნუ ჩაიკეტებით მასთან ერთად. ეწვიეთ მეგობრებსა და მეზობლებს. მოუყევით მათ თქვენი ბავშვის შესახებ. ირგვლივ მყოფები თქვენგან ისწავლიან, როგორ უნდა მოექცნენ თქვენს პატარას. თუ თქვენ მასთან ჩვეულებრივად იურთიერთებთ, ისინიც ასე მოიქცევიან. თუ თქვენ აჩვენებთ სხვებს, რომ თქვენი შვილი გიყვართ, მას ისეთად იღებთ, როგორიც არის, ეს სხვებს თქვენთან და თქვენს ბავშვთან ურთიერთბასა გაუადვილებს. თქვენი ლია განწყობა და ბუნებრიობა, ბევრს მოხიბლავს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ გარშემომყოფთა თავდაპირველი უცნაური საქციელი უხერხულობითაა გამოწვეული, რადგან მათ არ იციან, როგორ მოიქცნენ. ასე რომ, თქვენ თავად გადადგით პირველი ნაბიჯი.



პოზიტიური მომავალი

დაუნის სინდრომი აღმართა
ცრიგედია. დღეს სხვა
ძავშვებისას ერთად
დაუნის სინდრომის მქონე
ძავშვების მთელი თაობა
აზრდება და სთიპრად
ამაღლებულებია მას
სხვა, თუ რამდენიმე
დამოუკიდებელი
თავდაჯერებული
მიზრდებად
ვითარდებას ასენი,
მთხოვდება რიმდებას
საჟურნალი თავისადმი
პასუხისმგებლინდს
გრძნობენ

(ჯეინ კენედი-სმითი)

დაუნის სინდრომის მქონე ადა-
მინების სიცოცხლის ხანგრძლივო-
ბა ბოლო ოცდაათი წლის განმავ-
ლობაში საგრძნობლად გაიზარდა.
კარგი სამედიცინო მზრუნველობისა
და ცხოვრების ბევრად გაუმჯობე-
სებული ხარისხის გამო, დღეს უკევ
დაუნის სინდრომის მქონე ადამიან-
თა სიცოცხლის ხანგრძლივობის სა-
შუალო მაჩვენებელი დანარჩენი ადა-
მიანების სიცოცხლის ხანგრძლივო-
ბის საშუალო მაჩვენებლისაგან ბევ-
რად არ განსხვავდება და მან უკვე
60 წელს გადააჭარბა.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს სწავლის გასაოცარი უნარი აქვთ. თუ ჩვენ მათ ხელს შევუწყობთ და სტიმ-
ულს მივცემთ, ისინი მუდმივად წინ წავლენ. თქვენ, როგორც მშობელს ყოველთვის პოზიტიურის მოლო-
დინი უნდა გქონდეთ და ეს თქვენს ბავშვსაც უნდა აგრძნობინოთ.

ბოლო პერიოდის განმავლობა-
ში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა მიმართ დამოკიდე-
ბულება საქართველოშიც საგრძნო-
ბლად შეიცვალა. სამწუხაროდ,
დღემდე არსებობენ სამშობიარო
სახლები, სადაც მშობლებს «კეთილ
რჩევას» აძლევენ შვილი ბავშვ-
თა სახლში ჩაბარონ, მაგრამ ასეთ
შემთხვევათა რიცხვი სულ უფრო
და უფრო მცირდება. ჩვენს მიერ
ჩატარებული მცირე კვლევის საფუძ-
ველზე აღმოჩნდა, რომ საზოგადოე-
ბის, მათ შორის სამედიცინო პერ-
სონალის დამოკიდებულება ასეთი
ბავშვების მიმართ პოზიტიურობი-
საკენ იცვლება. უკვე მუშაობას იწყე-
ბენ ისეთი ბალები და სკოლებიც, სა-
დაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დანარჩენი ბავშ-
ვების გვერდით ისწავლიან. საა-
მისოდ სპეციალურად მზადდები-
ან პედაგოგები და რემონტდება
სკოლები. ჩვენს ქვეყანაში არსე-
ბობენ ძალიან კარგი პედიატრები,

კარდიოლოგები, ნეფროლოგები, თერაპევტები, თუ სხვა, რომლებმაც იციან რა სჭირდება თქვენს ბავშვს და რა რჩევა უნდა მოგცენ თქვენ. არსებობენ გამოცდილი ფსიქოლოგები, ფიზიოთერაპევტები და ოკუპაციური თერაპევტები. არსებობს გაერთიანებები, სახელოსნოები, თუ ცენტრები, სადაც სხვადასხვა ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები დროს ატარებენ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ. თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში სხვადასხვაგვარი შეზღუდვების მქონე ბავშვების მშობელთა რამდენიმე გაერთიანება არსებობს, მათ შორის ვართ ჩვენც: დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებისა და პროფესიონალების კავშირი «ჩვენი ბავშვები». თუ დაგვიკავშირდებით ყველა ჩვენს გამოცდილებასა და ცოდნას გულლიად გაგიზიარებთ. ჩვენც განგვიცდია ის, რასაც ახლა თქვენ გრძნობთ, მაგრამ ახლა უკვე მშვენიერი ბავშვების ხალისიანი დედები ვართ. ასე რომ, გაიღიმეთ, ცხოვრებას იმედიანად შეხედეთ და თქვენი შვილი გულში მაგრად ჩაიკარით!



ბრომურა შედგენილია
Medical and Surgical Care for
Children with Down Syndrome,
Woodbine House 1995, Down
Syndrome Toward a Brighter
Future, Brookes Publishing 2001,
Down-Syndrom Was bedeutet das?
Deutshes Down-Syndrom InfoCenter,
Januar 2000 წიგნების მიხედვით

სამეცნიერო რედაქტორი:
თამარ გაგოშიძე

რედაკტორი:

ია თევზაძე,
ნინო დობორჯგინიძე,
ხათუნა დოლიძე,
ნინო ცინცაძე

გამოცემულია დაუნის სინდრომის
მქონე ბავშვების მშობლებისა და
პროფესიონალების კავშირის
„ჩვენი ბავშვები“ მიერ

პროექტის მხარდაჭერისათვის
კავშირი „ჩვენი ბავშვები“ მადლობას
უხდის ორგანიზაციას „გლობალური
ინიციატივა ფსიქიატრიაში“

